ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #3

2021 წელი 24 დეკემბერი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, გ.ტყემალაძე,
ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
გ.შარაშიძე, ა.რატიშვილი,
ა.გოგოლაძე, ბ.ჯიმელი სულაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, კომისიის წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე, წარმომადგენელი - მარიამ კვერნაძე;

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა•მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ' (#N:12-032034578-03 10.12.2021წ.)
2. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" (N:12-032118162-03)
   a. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" (N:12-032118162-03
   b. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეTა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" (N:12-032118162-03)
   c. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხოციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" (N:12-032118162-03)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ (N:12-03213563-03 23.12. 2021წ)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ (12-03213578-03 23.12.2021)

1. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები, რომლებიც დაფინანსდება 1475,0 ათასი ლარით, მათ შორის ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 385000 ათასი ლარით; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ქ. თბილისში დარეგისტრირებული მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და მათი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა (მ. შ. დააგემოვნე თბილისის ქუჩებში - 150000 ლარი) - 220000 ლარი; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 130000 ლარი; ინოვაციური იდეების კონკურსი დამწყები ბიზნესებისათვის - 35000 ლარი; თბილისის განვითარების კვლევები,სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 250000 ათასი ლარით; კვლევა ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად - 170000 ლარი; პოსტპანდემიური ეკონომიკური შედეგების მართვის სამოქმედო გეგმა - 30000 ლარი; ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება - 50000 ლარი; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 50000 ათასი ლარით; საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება- თბილისის პრომოუშენი - 25000 ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 25000 ლარი; თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 600.0 ათასი ლარით; ეკო-ტურისტული (სამთო-საფეხმავლო ბილიკის) შესწავლა/პროექტირება თბილისის გარშემო (მინიმუმ 3 ეკო-ტურისტული ბილიკის შესწავლა/პროექტირება) – 30000 ლარი; ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეკო-ტურისტულ ბილიკებზე - 80000 ლარი; QR კოდებიანი დაფების განთავსება ტურისტულ ობიექტებზე - 150000 ლარი; ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა (ინფო-ტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება (მოიცავს განთავსების ხარჯებს, ავიაბილეთებს, კვებას, გიდებს, ტრანსპორტირებას) – 90000 ლარი; სხვადასხვა ქვეყნის გამყვან ტურიზმზე ორიენტირებული კომპანიების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა - 85000 ლარი; სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 50000 ლარი; ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის უნარ-ჩვევების და სერვისის გასაუმჯობესებლად თემატური სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზება - 50000 ლარი; ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 20000 ლარი; საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და ორგანიზება/თანაორგანიზება - 60000 ლარი; ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 190,0 ათასი ლარით; ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება/ თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 10000 ლარი; (დარბაზის ქირაობის ხარჯი, ყავის შესვენების ხარჯი, კონფერენციისათვის ტექნიკის ქირაობის ხარჯი, სინქრონული თარგმანის ხარჯი). შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის (წლის განმავლობაში არანაკლებ 2 შეხვედრა და

თითოეული შეხვედრა არანაკლებ 25 პერსონის მონაწილეობით) – 5000 ლარი; პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიის დაფინანსდება - 85000 ლარით; საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის განახლება; არსებული ტენდენციებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შეფასება და ახალი სექტორების შერჩევა - 90000 ლარი.

საკითხის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. გაიოზ თალაკვაძემ ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს აღნიშნულ საკითხს.

თავი შეიკავა: ა.რატიშვილი

წინააღმდეგი: ა.გოგოლაძე, ბ.ჯიმელი სულაშვილი.

2. მოისმინეს:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა „საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შეიცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით; ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა შეადგენს 1 192 164 ლარს (მოჯარეებს შორის გაფორმებულია 153 ხელშეკრულება).

2. მოიჯარეს, რომელმაც 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადაიხადა/გადაიხდის საიჯარო ქირას/ქირის ნაწილის ან/და ამავე პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხულ პირგასამტეხლოს, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

3. მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

4. მოიჯარეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა ამ

განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.909.1018 განკარგულების გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/ვადის ამოწურვამდე გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდეს შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;

5. გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას.

6. მოიჯარეები განთავისუფლდნენ შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკისრებული/დასაკისრებული პირგასამტეხლოსგან 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე;

2. „საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“,

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებთათვის (შემდგომში - „მოსარგებლე“) 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირა შეიცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

2.მოსარგებლეს, რომელმაც 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადაიხადა/გადაიხდის სარგებლობის ქირას/ქირის ნაწილს, ან/და ამავე პერიოდზე სარგებლობის ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხულ პირგასამტეხლოს, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

3. მოსარგებლეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2023 წლის 1 იანვრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

4.მოსარგებლეს, რომელსაც გადაუხდელი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულება შეუწყდა/ვადა ამოეწურა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.908.1019 გამოცემის მომენტამდე, 2021 წლის 1 თებერვლიდან შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/ვადის ამოწურვამდე გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვალოს და

განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით და გათავისუფლდეს შესაბამისი პირგასამტეხლოსგან;

5.გადახდილი სარგებლობის ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას;

6.მოსარგებლეები თავისუფლდებიან სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე;

3. „საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“

ა) მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ამოეწურა/ხელშეკრულება შეუწყდა 2020 წლის 1 იანვრიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.907.1025 განკარგულების გამოცემის მომენტამდე, თუმცა ფაქტობრივად სარგებლობდა/სარგებლობს უძრავი ქონებით, სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან აღნიშნული განკარგულების გამოცემის მომენტამდე პერიოდზე უძრავი ქონების ფაქტობრივი სარგებლობისათვის არ დაეკისროს სარგებლობის საფასურის (ქირის) და შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.

ა.ა) მოსარგებლეს, რომელიც ფაქტობრივად სარგებლობს უძრავი ქონებით ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის (შეწყვეტის) თარიღიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული.

ა.ბ) მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისად გაუგრძელდება შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, 2021-2022 წლების პერიოდზე სარგებლობის ქირა განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით; ზემოაღნიშნულ პერიოდზე სარგებლობის ქირა შეადგენს 4 450 000 ლარს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და მოსარგებლეებს შორის გაფორმებულია 403 მოქმედი ხელშეკრულება.

ბ) მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადა ეწურება 2022 წლის 1 იანვრამდე, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს არაუმეტეს სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2024 წლის 31

დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად.

გ) მოსარგებლეს (გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირებისა), რომელსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის N21.907.1025 განკარგულების გამოცემის მომენტისათვის გაფორმებული აქვს მოქმედი სარგებლობის ხელშეკრულება, მის მიერ ამ განკარგულებით დადგენილი წესით ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის უძრავ ქონებაზე სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაუგრძელდეს შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე დამატებით 2 (ორი) კალენდარული წლით, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების უცვლელად.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს ზემოაღნიშნული შეღავათები და ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

3. მოისმინეს:

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ წარმოადგინა პროექტი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ ფარგლებში სასესხო ხელშეკრულების შესახებ 101 000 000 (ას ერთი მილიონი) ევროს ოდენობით, რომელიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის თბილისში, შემდეგი მიმართულებით - ინკლუზიური და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროები, საქართველოს ტურისტულ კლასტერებში ხელმისაწვდომობის, შეკავშირებულობისა და მობილობის გაუმჯობესება და მდგრადი ურბანული და რეგიონალური განვითარებისათვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დასმული იქნა რიგი შეკითხვები. ხელშეკრულების მიხედვით ქ.თბილისისთვის გამოიყოფა დაახლოებით 30 მილიონი ევრო. სესხი არის ათწლიანი. კვლევები ჩაატარა აზიის განვითარების ბანკმა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდთან ერთად. გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები. ესენია: დიღმის ჭალების კეთილმოწყობა და თბილისის მეტრო სადგურების აღჭურვა სპეციალური მოწყობილობებით შშმ პირებისათვის

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს აღნიშნულ საკითხს.
თავი შეიკავა: ა.გოგოლაძე, ბ.ჯიმელი სულაშვილი.
წინააღმდეგი: გ.შარაშიძე

4. მოისმინეს:

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახირის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ წარმოადგინა პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების თანახმად, კვების ობიექტებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხებათ ტექნიკური მაჩვენებლის 21 კატეგორიის მიხედვით გადასახადი განესაზღვრებათ, დასაჯდომი ადგილების შესაბამისად (სატარიფო განაკვეთი 3 ლარი ერთ დასაჯდომ ადგილზე). ასევე ამავე დადგენილები თანახმად სასტუმროებს დასუფთავების მოსაკრებელი ერიცხებათ ტექნიკური მაჩვენებლის 6 კატეგორიის მიხედვით გადასახადი განესაზღვრებათ, მომსახურების ერთეულის (საწოლი) ადგილების შესაბამისად (სატარიფო განაკვეთი 2,15 ლარი ერთ დასაჯდომ ადგილზე).

ზემოაღნიშნული ცვლილება, რეალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, დამტკიცებული ტექნიკური მაჩვენებლის მე-6 და 21-ე კატეგორიის აბონენტებს დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში დაუწესდეთ შეღავათი 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვაში 1000 (ათასი) ლარიანი შეღავათი მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზიაში მიმდინარე ეტაპზე არსებული ინფორმაციით შეიძლება დაუწესდეს დაახლოებით 454 სასტუმროს და 1376 კვების ობიექტს, სულ: 1830 აბონენტი, შეღავათი სავარაუდოდ შეადგენს 1 269 232-მდე ლარს. ცვლილების თანახმად, მოცემული შეღავათები გავრცელდება შემდეგ მოსაკრებლის გადამხდელებზე: სასტუმროებზე (სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლებზე), რესტორნებზე, პიცერიებზე, სასადილოებზე (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა) და კაფე-ბარებზე. მოსაკრებლის გადამხდელი მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, 2022 წლის განმავლობაში. ამასთან, მოსაკრებლის გადამხდელი, შეღავათით სარგებლობისას არ უნდა იყოს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმში ან ლიკვიდირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდაზე შეღავათის დადგენის შესახებ კომისიის მიერ ერთხმად შეაფასდა დადებითად და რეკომენდაცია გაეწია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე